

შეტყობინება მეცხრე

ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის ორგანული აშენება
სულიერი მეტაბოლიზმის პროცესის მეშვეობით
მორწმუნეების მიერ მათში მყოფი ქრისტეს შინაგანი განცდის შესაბამისად

ადგილები წერილიდან: 2 მეფ. 7:12-14ა; ეფეს. 3:16-21

- I. ნათქვამი 2 მეფ. 7:12-14ა-ში წარმოადგენს გახსნას წინასწარმეტყველებისა წინასახეების მეშვეობით, საიდანაც ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენ გვჭირდება, რომ დმერთმა ჩანერგოს ქრისტე ჩვენს სიღრმისეულ შემადგენლობაში, რის შედეგადაც მთელი ჩვენი არსება იქნება შემადგენლობა შეცვლილი ქრისტეთი – მათე 16:18:
- ა. დმერთის მარადიული სახლმშენებლობა თანახმად დმერთის გულის სურვილისა არის ის, რომ ჩააშენოს თავისი თავი ადამიანში და ჩააშენოს ადამიანი თავის თავში (ეფეს. 3:16-17ა); ეს ურთიერთ საცხოვრებელი არის სინამდვილე ქრისტეს სხეულისა, რომელიც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში (იოანე 15:4-5ა; 1 იოანე 2:27-28; 3:24; 4:13, 15-16; გამოცხ. 21:3, 22).
 - ბ. დმერთის განზრახვა მის სახლმშენებლობაში არის ის, რომ ჩააშენოს თავისი თავი ქრისტეში ჩვენს არსებაში – 2 მეფ. 7:12-14ა; ეფეს. 3:17ა; იოანე 14:20; გალ. 4:19:
 - 1. დმერთს სურს ჩანერგოს თავისი თავი ქრისტეში ჩვენში; ყველაფერი, რასაც წარმოადგენს ქრისტე, და ყველაფერი, რაც ქრისტემ ადასრულა, განკუთვნილია მხოლოდ ამისათვის – ფილიპ. 2:13; ეფეს. 3:17ა; კოლ. 3:10-11.
 - 2. ჩვენ გვჭირდება, რომ დმერთმა ჩააშენოს თავისი თავი ქრისტეში ჩვენს ადამიანობაში, ჩანერგოს ჩვენში თავისი თავი ქრისტეში როგორც ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ბუნება და ჩვენი პიროვნება – ეფეს. 3:17ა.
- II. ეფეს. 3:16-21-ში ნაჩვენებია, რომ სამერთიანი დმერთი შემოვიდა ჩვენში, რათა ჩაეტარებინა სამშენებლო სამუშაო, გამოეყენებინა თავისი თავი როგორც ელემენტი და ასევე გამოეყენებინა რაღაც ჩვენგან როგორც მასალა; ამის ილუსტრაცია არის იგავი მთესველზე მათეს სახარების მე-13 თავში:
- ა. უფალი თესავს თავის თავს როგორც სიცოცხლის თესვს ადამიანების გულებში, ნიადაგში, რათა გაიზარდოს და იცხოვროს მათში და გამოიხატოს მათგან შიგნიდან – მუხ. 3.
 - ბ. თესლი ითესება ნიადაგში, რათა გაიზარდოს ნიადაგში არსებული მკვებავი ნივთიერებების ხარჯზე; შედეგად, მოსავალი არის ელემენტების კომპოზიცია, როგორც თესლიდან, ასევე ნიადაგიდან – მუხ. 23.
 - გ. ჩვენ შიგნით არის გარკვეული მკვებავი ელემენტები, დმერთის მიერ შექმნილი როგორც სამზადისი იმისათვის, რომ დმერთი შემოვიდეს ჩვენში იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ჩვენში; დმერთმა შექმნა ადამიანის სული ადამიანური მკვებავი ნივთიერებებით ადამიანის გულთან ერთად როგორც ნიადაგით ღვთაებრივი თესლის გასაზრდელად ჩვენში – 1 იოანე 3:9; 1 პეტ. 1:23; კოლ. 2:19:
 - 1. სისწრაფე, რომლითაც ჩვენ ვიზრდებით სიცოცხლეში, დამოკიდებულია არა ღვთაებრივ თესლზე, არამედ იმაზე, რამდენ მკვებავ ნივთიერებას ვაძლევთ

ამ თესლს; რაც უფრო მეტ მკვება ნივთიერებას მიეცემთ, უფრო სწრაფად გაიზრდება თესლი და უფრო მეტად აყვავდება – ფსალ. 78:8; მათე 5:3, 8:

- ა) თუ ჩვენ დავრჩებით ჩვენს მშენებარეებში, ჩვენს ბუნებრივ ადამიანში, მაშინ ღვთაებრივი თესლის ზრდისათვის არ იქნება არავითარი საკვები ნივთიერება; მაგრამ თუ ჩვენ განვმტკიცდებით ჩვენს შინაგან კაცში და ყურადღებას მივაქცევთ ჩვენს სულს და ვავარჯიშებთ ჩვენს სულს, მაშინ მკვება ნივთიერებები შემოადწევენ და ქრისტე მოიწყობს თავის სახლს ჩვენს გულში – ეფეს. 3:16-17; რომ. 8:6; 1 ტიმ. 4:7.
- ბ) თუ ჩვენ გვინდა, ნება მივცეთ უფალს როგორც სიცოცხლის მარცვალს, გაიზარდოს ჩვენ შიგნით, რათა გახდეს ჩვენი სრული ტკობა, ჩვენ უნდა გავეხსნათ უფალს აბსოლუტურ ხარისხში და ვითანამშრომლოთ მასთან საფუძვლიანი სამუშაოს განსახორციელებლად ჩვენს გულზე – მათე 13:3-9, 19-23.

2. ერთი მხრივ, ღმერთი გვამტკიცებს ჩვენ თავისით როგორც ელემენტით, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენ წარვუდგენთ საკვებ ნივთიერებებს; ამ ორი ფაქტორის წყალობით ღმერთი ქრისტეში ახორციელებს თავის სიღმისეულ აშენებას – თავისი სახლის აშენებას – მთელ ჩვენს არსებაში.

დ. ბიბლიის თანახმად, ზრდა ტოლფასია აშენების; უფალმა იესომ განაცხადა: „მე ავაშენებ ჩემს ეკლესიას“ (მათე 16:18); ეს აშენება ხდება ღვთაებრივი თესლის ზრდის მეშვეობით ჩვენში (1 იოანე 3:9; ეფეს. 4:15-16; კოლ. 2:19; ეფეს. 2:21-22; 1 კორ. 3:1, 6-9, 12; 16:13).

ე. ღმერთის სახლმშენებლობა არის ის, რომ ჩანერგოს თავისი თავი ჩვენში, იმ მიზნით, რომ ჩვენ განვიცადოთ მეტაბოლური პროცესი სულიერი გადამუშავებისა და შეთვისებისა, რომელიც წარმოქმნის სახეცვლილებას როგორც თანდათანობით და სიღრმისეულ მეტაბოლურ ცვლილებას ჩვენს ბუნებრივ სიცოცხლეში; ეს განკუთვნილია ქრისტეს სხეულის ასაშენებლად, რათა დაასრულოს ახალი იერუსალიმი – 2 კორ. 3:18:

- 1. იმისათვის, რომ გვქონდეს ღმერთის ნაგებობა, ჩვენ უნდა მივიღოთ, გადავაამუშაოთ და შევითვისოთ, ორგანული პნევმატური ქრისტე, რომელიც არის მაცოცხლებელი სული, როგორც ჩვენი სულიერი საკვები, სასმელი და სუნთქვა – იოანე 6:51, 57; 7:37-39; 20:22.
- 2. როდესაც ჩვენ ვტკბებით ქრისტეთი იმის მეშვეობით, რომ ვჭამთ მას, ვსვამთ მას და ვსუნთქავთ მისით, ჩვენ შიგნით ხდება მეტაბოლური პროცესი, სულიერი გადამუშავება და ნივთიერებათა ცვლა, და ქრისტე ინერგება ჩვენი არსების შემადგენლობაში; ეს შინაგანი ცვლა ნივთიერებებისა არის გარდასახვა, ხოლო გარდასახვა არის აშენება – რომ. 12:2; ფილიპ. 1:20-21; შდრ. გამოცხ. 21:18; 4:3.

ვ. ორგანული აშენება ეკლესიისა როგორც ქრისტეს სხეულის ნივთიერებათა ცვლის სულიერი პროცესის წყალობით – არსებითად არის ის, რაზეც იეჰოვა უწინასწარმეტყველებდა და ვითოს წინასახეების გზით მე-2 მეფეთას 7:12-14ა-ში.

III. ეფეს. 3:16-21-ში პავლე ღოცულობდა მორწმუნეების მიერ მათში დამკვიდრებული ქრისტეს შინაგან განცდაზე ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის ორგანული აშენებისათვის – 4:12, 16; 2:21-22:

ა. პავლე ღოცულობდა მამის წინაშე, რომ ჩვენ განვმტკიცდეთ მისი სულის მეშვეობით შინაგან კაცში, რის შედეგადაც ქრისტე შეძლებს მოიწყოს თავისი

სახლი ჩვენს გულში და ამის მეშვეობით დაიკავოს, დაიპყროს, გამსჭვალოს და გაუღინთოს ჩვენი შინაგანი არსება თავისით – 3:16-17ა.

- ბ. სამერთიანი ღმერთი შეიძლება შევადაროთ დიდ მექანიზმს, რომლის „ოპერატორიც“ იყო პავლე; ჩვენ უნდა გავითავისოთ ერთი გაკვეთილი – მთელ სამყაროში არსებობს მაღალი პრინციპი; ეს პრინციპი არის ის, რომ ღმერთს უნდა რაღაც გააკეთოს, მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ იყოს მხოლოდ „მექანიზმი“ და მას სჭირდება რომ ვიღაც იყოს „ოპერატორი“:
1. როდესაც პავლე ლოცულობდა ლოცვით ეფეს. 3:16-21-ში, ის იყო წარმომადგენელი ქრისტეს მთელი სხეულისა.
 2. მამა, ძე და სული არის სამი „ნაწილი“ ამ სამყაროსეული „მექანიზმისა“, ხოლო სხეული არის „ოპერატორი“; როდესაც ჩვენ ვლოცულობთ ამ ლოცვით როგორც „ოპერატორი“, მამა მუშაობს თავისი სულის მეშვეობით როგორც არხი, რათა განამტკიცოს თითოეული ნაწილი ჩვენი შინაგანი არსებისა შინაგან კაცში, რათა მიზანმა, მისწრაფების ობიექტმა, ძემ, მოიწყოს თავისთვის სახლი ჩვენი გულის ყველა ნაწილში.
- გ. სიტყვა იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა განვმტკიცდეთ ძალით შინაგან კაცში, მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ არ ვიმყოფებით შინაგან კაცში, რომ ჩვენ ვცხოვრობთ უმეტეს წილად გარეგან კაცში – მუხ. 16; 1:19-22; 3:20.
- დ. ქრისტეს სურს, დაიკავოს თითოეული ოთახი ჩვენი გულისა:
1. გამოთქმას „მოიწყოს თავისთვის სახლი“ ბერძულ ენაში შეესაბამება მხოლოდ ერთი სიტყვა „კატოიკო“, რომელიც ძირითადად აღნიშნავს „საცხოვრებელში დასახლებას“, „საცხოვრებლის მოწყობას“ ხოლო თავსართი ამ სიტყვისა „კატა“ – აღნიშნავს „ქვემოთ“ – მუხ. 17ა.
 2. მასთან ერთად, რაც ქრისტე იწყობს თავისთვის სახლს, აღწევს ღრმად ქვემოთ ჩვენს გულებში, ჩვენ ფესვსვიდგამთ სიყვარულში ღმერთის მიერ დამუშავებულ მიწაში და ვმტკიცდებით სიყვარულში ღმერთის ნაგებობისათვის – მუხ. 17.
 3. მასთან ერთად, რაც ის იწყობს თავისთვის სახლს ჩვენს გულებში, ჩვენ გვიჩნდება ძალა, ჩავწვდეთ ყველა წმიდანთან ერთად განუზომელ ქრისტეს, ვისი განზომილებებიც არის სამყაროს განზომილებები – მუხ. 18:
 - ა) ჩვენ მიერ ქრისტეს განცდა ეკლესიაში უნდა იყოს სამგანზომილებიანი, როგორც კუბი (სიგანე, სიგრძე, სიმაღლე და სიღრმე), და ის არ უნდა იყოს ერთგანზომილებიანი, როგორც ხაზი.
 - ბ) სავანეშიც და ტაძარშიც წმიდათა წმიდა წარმომადგენდა კუბს – გამ. 26:2-8; 3 მეფ. 6:20.
 - გ) საბოლოოდ ახალი იერუსალიმი, ღმერთის ნაგებობა, იქნება მარადიული კუბი, წმიდათა წმიდა, თორმეტი ათასი სტადია სამივე განზომილებით – გამოცხ. 21:16.
 4. როდესაც ქრისტე იწყობს თავისთვის სახლს ჩვენს გულებში, ეს ნებას გვაძლევს ჩვენ გავიგოთ სიყვარულს აღმატებული ქრისტეს სიყვარული, რათა ჩვენ ავივსოთ მთელი სიმდიდრით სამერთიანი ღმერთისა მისი ერთობლივი გამოხატულებისათვის, მისი განდიდებისათვის – ეფეს. 3:19-21; შდრ. დაბ. 24:47, 53, 61-67.
- ე. ქრისტე აშენებს ეკლესიას, აშენებს თავის თავს ჩვენში; ანუ შემოდის ჩვენს სულში და ვრცელდება ჩვენი სულიდან ჩვენს გონებაში, გრძნობებსა და ნებაში, რათა დაიკავოს მთელი ჩვენი არსება – 2 ტიმ. 4:22; 1 კორ. 6:17; ეფეს. 3:17ა:

1. ვინაიდან ჩვენი გული აერთიანებს თავის თავში ჩვენს ყველა შინაგან ნაწილს, გული არის ცენტრი მთელი ჩვენი შინაგანი არსებისა და წარმოგვადგენს ჩვენ იმაში, რაც შეეხება ჩვენს მიდრეკილებებს, სიხარულსა და სურვილს, ქრისტე, როდესაც ის იწყობს თავისთვის სახლს ჩვენს გულში, ღებულობს შესაძლებლობას, რომ მართოს მთელი ჩვენი შინაგანი არსება, და მოამარაგოს და განამტკიცოს თითოეული შინაგანი ნაწილი თავისით.
 2. რაც უფრო მეტად ქრისტე ვრცელდება ჩვენში, უფრო მეტად ის სახლდება ჩვენში და იწყობს თავისთვის სახლს ჩვენში; იკავებს ჩვენი შინაგანი არსების თითოეულ ნაწილს, იპყრობს ამ ყველა ნაწილს და ჟღენთს მათ თავისით.
 3. იმისათვის, რომ ქრისტეს მიერ ნათქვამი მათეს 16:18-ში ეკლესიის აშენებაზე შესრულდეს, ეკლესია უნდა მივიდეს ისეთ მდგომარეობამდე, რომლის დროსაც მრავალი წმიდანი ნებას მისცემს ქრისტეს, მოიწყოს თავისი სახლი ღრმად მათ გულებში, დაიპყროს, დაიკავოს და გაჟღინთოს მთელი მათი შინაგანი არსება.
 4. რაც უფრო მეტად ქრისტე დაიკავებს ჩვენს შინაგან არსებას, უფრო მეტად ჩვენ შევძლებთ ავშენდეთ სხვებთან სხეულში – ეფეს. 2:21-22; 4:12, 16.
 5. ეფეს. 3:17-ში საუბარია ფესვგადგმასა და განმტკიცებაზე სიყვარულში; ის, რომ ჩვენ ფესვსვიდგამთ, გულისხმობს, რომ ჩვენ ვართ მცენარე, რომელსაც სჭირდება გაზრდა, ხოლო ის, რომ ჩვენ ვმტკიცდებით, აღნიშნავს, რომ ჩვენ გვჭირდება აშენება.
 6. მე-18 მუხლის თანახმად, ჩვენ საბოლოოდ გვქნება ძალა, ჩავწვდეთ ქრისტეს სამყაროსეულ განზომილებას – სიგანეს, სიგრძეს, სიმაღლესა და სიღრმეს – არა ჩვენი ინდივიდუალურად, არამედ „ყველა წმიდანთან ერთად“, ანუ ერთობლივად და ერთად; ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა ავშენდეთ ერთად.
 7. როდესაც ქრისტე მოიწყობს თავისთვის სახლს ჩვენს გულებში, ჩვენ ავივსებით ღმერთის მთელი სისავსით; ეს სისავსე არის ეკლესია, ქრისტეს სხეული, როგორც ერთობლივი გამოხატულება სამერთიანი ღმერთისა – მუხ. 19.
 8. ღმერთის დიდება ჩანერგილია ეკლესიაში, და ის გამოხატავს თავის თავს ეკლესიის მეშვეობით იმაზე უფრო მეტად, რასაც ჩვენ ვითხოვთ ან რაზეც ჩვენ ვმსჯელობთ, ამიტომ ღმერთი განდიდება ეკლესიაში – მუხ. 20-21.
- ვ. ეფეს. 3:16-21-ში ნაჩვენებია სული, განწყობა, ღოცვა და რწმენა პავლესი:
1. გამოცხადების წყალობით პავლეს ეუწყა ქრისტეს საიდუმლო (მუხ. 3-6); ამის შედეგად მისი სული და განწყობა – ის, რასაც პავლე ხედავდა, ის, რასაც პავლე ლაპარაკობდა, და ის, რაზეც ის ზრუნავდა თავის გულში, – დაკავშირებული იყო ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის აშენების ხედვასთან ჩვენში მყოფი ქრისტეს შინაგანი განცდის მეშვეობით:
 2. პავლე იყო მთლიანად დაპყრობილი ამ ხედვით, და ის გახდა მისი სული და განწყობა, ამიტომ მან წარმოთქვა ასეთი ღოცვა (რწმენის სფეროსა და ელემენტში), ჩაწერილი ეფეს. 3:16-21-ში; თუ ჩვენ დავინახავთ იმ ხედავს, რომ ქრისტე აშენებს ეკლესიას როგორც ქრისტეს სხეულს ჩვენში მყოფი ქრისტეს შინაგანი განცდის მეშვეობით, ჩვენ გაგვიჩნდება სული, განწყობა, ღოცვა და რწმენა პავლესი, როდესაც ჩვენ ვემსახურებით ღმერთს ეკლესიაში.